G&T Trader-ის საშუალებით შესაძლებელი ხდება ბიტკოინთან ერთად ეთერეუმის ფასზე მიბმული საინვესტიციო ინსტრუმენტებით ვაჭრობა

გალტ & თაგარტი ქართველ მომხმარებელს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, განახორციელოს ინვესტირება, ეთერეუმის ფასზე მიბმულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში. 2017 წლის სექტემბერში, გალტ ენდ თაგარტმა, G&T Trader-ის პლატფორმის საშუალებით, თავის მომხმარებელს მისცა უნიკალური შესაძლებლობა განეხორციელებინათ ინვესტირება ბიტკოინის ფასზე მიბმულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში. დღეიდან, გალტ ენდ თაგარტი საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს უკვე ეთერეუმის ფასზე დაშენებულ საინვესტიციო ინსტრუმენტებს.

მომხმარებლების მხრიდან, კრიპტოვალუტების მიმართ გაზრდილი ინტერესიდან გამომდინარე, გალტ & თაგარტმა ონლაინ სავაჭრო პლატფორმა G&T Trader-ში დაამატა კიდევ ორი ახალი საინვესტიციო ინსტრუმენტი: Ethereum Tracker One და Ethereum Tracker EUR, რომლებიც წარმოადგენენ ეთერეუმის ფასზე დაშენებულ საინვესტიციო ინსტუმენტებს. შესაბამისად, მათი ფასები დაყვებიან და ასახავენ ეთერეუმის ფასის ცვალებადობას ამერიკულ დოლართან მიმართებით. აღნიშნული საინვესტიციო ინსტუმენტები მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევენ ინვესტირება განახორციელონ მსოფლიოში სიდიდით მეორე კრიპტოვალუტის, ეთერეუმის, ფასის დინამიკაში და გახსნან შესაბამისი პოზიციები.

Ethereum Tracker One დენომინირებულია შვედურ კრონაში, ხოლო Ethereum Tracker EUR - ევროში. ორივე ინსტრუმენტის პროვაიდერია XBT Provider AB და ივაჭრება Nasdaq OMX -ის საფონდო ბირჟაზე.

ინსტრუმენტის ტიპი:	სერთიფიკატი (Exchange Traded Note)
სავაჭრო სიმბოლო:	ETHEREUM_XBT:xome (SEK) / ETHEREUM_XBTE:xome (EUR)
ბირჟა:	Nasdaq OMX (სტოკჰოლმი)
პროვაიდერი:	XBT Provider AB
საბაზისო ინსტრუმენტი:	Ethereum nominated in USD
საკრედიტო მხარი:	1:1
საკომისიო (წლიური):	2.5%
ემიტენტი:	იხილეთ ვებ-გვერდი

მომხმარებლებმა, G&T Trader-ის პლატფორმაში ინსტრუმენტების სანახავად, საძიებო ველში უნდა აკრიფონ სიტყვა „Ethereum". გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ინსტრუმენტების ფასების სანახავად საჭიროა Nasdaq OMX-ის საფონდო ბირჟის გამოწერა შემდეგნაირად: Account > Subscriptions > Stock Exchanges > Nasdaq OMX.

მნიშვნელოვანი შეტყობინება:
წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი („საინფორმაციო ბიულეტენი") არ წარმოადგენს და ამავდროულად არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ყიდვის ან შუამავლობის შეთავაზება ფასიანი ქაღალდების ან/და ნებისმიერი სხვა საინვესტიციო პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით. საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული ყველა მოსაზრება და შეფასება წარმოადგენს ,,გალტ ენდ თაგარტის" შეფასებას მოცემული თარიღისთვის და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული ინფორმაცია გამოქვეყნებულია გამიზნული პირების დახმარების მიზნით. ამასთანავე, ინფორმაციის მიმღები პირები არ უნდა დაეყრდნონ წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენს როგორც ავტორიტეტულ წყაროს ან საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ,,გალტ ენდ თაგარტი" არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირდაპირი ან შედეგობრივი ზიანისთვის, რომელიც გამომდინარეობს ამ საინფორმაციო ბიულეტენის ან მასში მოცემული ინფორმაციის გამოყენებისგან.
წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი შეიძლება შეიცავდეს შეფასებებს, პროგნოზებს და მომავალზე ორიენტირებულ სხვა განცხადებებს. მრავალ მიზეზთა გამო, ფაქტობრივი მდგომარეობა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს აღწერილისგან. ,,გალტ ენდ თაგარტი" არ იღებს ამგვარი განცხადებების განახლების ვალდებულებას. წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც რეკომენდაცია ან რჩევა ფასიანი ქაღალდების ან/და ნებისმიერი სხვა საინვესტიციო პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით. ამ საინფორმაციო ბიულეტენში წარმოდგენილ ყველა მასალაზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ,,გალტ ენდ თაგარტს" გააჩნია საავტორო უფლებები. არცერთი მასალა, არც მისი შინაარსი და არც მისი ასლი, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი გზით, ან გადაცემულ იქნას, გადაწერილ ან გავრცელებულ იქნას ნებისმიერ სხვა მხარისთვის ,,გალტ ენდ თაგარტის" წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.
ინვესტიციის განხორციელება ფინანსურ ინსტრუმენტებში რისკების შემცველია, მათ შორის არსებობს ინვესტირებული კაპიტალის ნაწილობრივ ან სრულად დაკარგვის რისკი. წარსული პერფორმანსი არ არის მომავლის შედეგების პროგნოზირების საფუძველი. ინვესტიციის განხორციელებამდე, პოტენციურმა ინვესტორმა ფრთხილად უნდა გაანალიზოს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისობა თავის საინვესტიციო მიზნებთან და ფინანსურ მდგომარეობასთან. აქ აღწერილი ზოგიერთი ინსტრუმენტი არ შეიძლება იყოს რეგულირებადი ფინანსური ინსტრუმენტი და აღნიშნულ შემთხვევაში, არ მოითხოვება ემისიის პროსპექტის ან მსგავსი დოკუმენტის გამოქვეყნება. ინვესტორმა უნდა შეამოწმოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია და რისკ ფაქტორები, ასევე, კონსულტაცია გაიაროს ფინანსურ, იურიდიულ და საგადასახადო მრჩევლებთან.